



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49211182

თარიღი:28/04/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 20

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში №29.13.37.234 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობაში განთავსებული 14.2 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, იჯარით, 2 (ორი) წლის ვადით გაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821111213; 21/04/2021) წერილი, რომელშიც მოქალაქე ნონა ქვაჩაკიძის განცხადების საფუძველზე ითხოვს თანხმობას, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში №29.13.37.234 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობაში განთავსებული 14.2 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, იჯარით, 2 (ორი) წლის ვადით გაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანში №29.13.37.234 საკადასტრო კოდზე მდებარე შენობაში განთავსებული 14.2 კვ.მ. ფართის (ერთი ოთახი) სარგებლობის უფლებით, აუქციონის ფორმით, იჯარით, 2 (ორი) წლის ვადით გაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

